გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 165

2023 წლის 8 სექტემბერი
ქ. გორი

ქ. გორში, სულხან - საბას ქუჩაზე (№40-ის და №64-ის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე) „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ქ.გორში, სულხან - საბას ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქ. გორში, სულხან - საბას ქუჩა №40-ის და №64-ის მიმდებარედ 2 (ორი) ლოკაციაზე სიჩქარის შემანელებელი ბარიერების მოწყობა.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით ქ. გორში, სულხან - საბას ქუჩა №40-ის და №64-ის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერები ГОСТ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, სულხან - საბას ქუჩა №40-ის და №64-ის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. გორში, სულხან - საბას ქუჩაზე (N40 და N64 მიმდებარედ ორ ლოკაციაზე) შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**